ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის სექტემბრის 1.	№ 16	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული
	განყოფილება პირველი	

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 132. შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის 1-ლი შენიშვნის შეცვლის შესახებ.

„ 133. „ა/კსფსრ-ში გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების საარქივო მასალების შენახვისა და ლიკვიდაციის წესის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 22-ის დადგენილების მე-4 მუხლის გაუქმების შესახებ.

„ 134. ა/კსფსრ ტერიტორიაზე პურეულის დამზადებისათვის ხელმძღვანელობისა, მეთვალყურეობისა და კონტროლის გასაწევად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განსაკუთრებული რწმუნებულების დანიშვნის შესახებ.

„ 135. 1929-30 საშენაწერო წელს წყლის გამოსაღების საქმის ჩატარების შესახებ.

„ 136. კავკასიის წითელდროშიანი არმიის მანევრებში მონაწილე მოქალაქეების მუშაობისაგან განთავისუფლების შესახებ.

„ 137. სრულიად საკავშირო სამსროლელო შეჯიბრებაში მონაწილეთა მუშაობისაგან განთავისუფლების შესახებ.

„ 138. შრომის კანონთა კოდექსის დამატებისა და შეცვლის შესახებ.

„ 139. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულებისათვის მე-13[1] მუხლის დამატების შესახებ.

„ 140. ა/კსფსრ ორგანოების გამგებლობაში მყოფი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო დარგის მომუშავეთათვის, სამსახურში გატარებული წლების მიხედვით, დასანიშნი პენსიების შესახებ.

„ 141. მუშათა ბინების მშენებლობის საჭიროებისათვის დაწესებული მიზნობრივი საბინაო გადასახადის უკიდურესი განაკვეთების განაწესის შეცვლის შესახებ.

„ 142. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლის შესახებ.

„ 143. ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა და ჯარების თანამშრომელთა და თავმდგომთა შედგენილობის საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფის შესახებ.

„ 144, 1929 წლის საშემოდგომო თესვის კამპანიის გეგმის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

132. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. 1-ლი შენიშვნის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა 1. ხელშეკრულობის მოშლა იმ შემთხვევაში, რაც „გ" პუნქტშია აღნიშნული, შეიძლება მოხდეს მხოლოდ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის გადაწყვეტილებით. ხელშეკრულების მოშლა იმ შემთხვევებში, რაც აღნიშნულია „დ" პუნქტში, შეიძლება მოხდეს სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში დამქირავებლის დამოუკიდებელი განკარგულებით; ამასთანავე, მშრომელს შეენარჩუნება უფლება განასაჩივროს ეს განკარგულება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში; დანარჩენ დაწესებულებასა და საწარმოში კი ხელშეკრულობის მოშლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის წინასწარი გადაწყვეტილებით".

II. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს სათანადო ცირკულიარი ამა დადგენილების განსავითარებლად.

ა/კსფსრ ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. ივლისის 22. ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 151 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

133. **„ა/კსფსრ-ში გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების საარქივო მასალების შენახვისა და ლიკვიდაციის წესის თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 22-ს დადგენილების მე-4 მუხლის გაუქმების შესახებ.**

„სსრკ-ის ცენტრალური საარქივო სამმართველოს შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 10-ს დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 28 №-რი, მუხ. 253) მე-10 მუხლის თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მე-4 მუხლი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 22-ს დადგენილებისა „ა/კსფსრ-ში გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების საარქივო მასალების შენახვისა და ლიკვიდაციის წესის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-2 №-რი, მუხ. 11) გაუქმებულ იქნეს.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეიტანონ, ორი კვირის ვადაზე, სათანადო ცვლილებანი მათ მიერ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული—1928 წ. დეკემბრის 22-ს—დადგენილების თანახმად, გამოცემულ აქტებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. აგისტოს 15. ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 153 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

134. ა/კსფსრ ტერიტორიაზე პურეულის დამზადებისათვის ხელმძღვანელობისა, მეთვალყურეობისა და კონტროლის გასაწევად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განსაკუთრებული რწმუნებულების დანიშვნის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დანიშნულ იქნეს ამხ. ა. ნ. ბუკრეევი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულად ა/კსფსრ ტერიტორიაზე პურეულის დამზადებისათვის ხელმძღვანელობისა, მეთვალყურეობისა და კონტროლის გასაწევად.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დანიშნონ რესპუბლიკებში განსაკუთრებული რწმუნებულნი, რომელნიც დაექვემდებარებიან ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულს.

3. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის განკარგულებანი პურეულის დამზადების ოპერაციების გამო შეიძლება გააუქმოს მარტოოდენ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ.

4. საჩივრის შეტანა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული რწმუნებულის განკარგულების გამო ვერ შეაჩერებს მის მიერ გაცემული განკარგულების შესრულებას.

5. პურეულის დამზადების გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად მოეწყოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში პურეულის დამზადების ხელისშემწყობი კომისიები: ოლქებში (მაზრებში)— განსაკუთრებული რწმუნებულისა რესპუბლიკაში, აღმასრულებელი კომიტეტისა (საფინანსო განყოფილებისა), პროფასიონალური კავშირისა, კოოპერაციისა და „ხლებსოიუზ"-ის წარმომადგენელთა შედგენილობით, ხოლო ადგილობრივ (დაირში, თემში და გავარაკში) განსაკუთრებული რწმუნებულისა რესპუბლიკაში, აღმასრულებელი კომიტეტისა და კოოპერაციის წარმომადგენელთა შედგენილობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. ივლისის 4. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 192 №-ში 1929 წ. აგვისტოს 23-ს.

დადგენილება № 152 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

135. 1929-30 საშენაწერო წელს წყლის გამოსაღების საქმის ჩატარების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წ. ივლისის 24-ს დამტკიცებული („ცენ.აღმ. კ-სა და სრულიად რუსეთის ცენ. აღმ. კ-ს „იზვესტია"-ს 175 №-რი 1929 წ. აგვასტოს 2-სა) „წყლის გამოსაღების დებულების" შესაბამისად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. წყლის გამოსაღების დებულების მე-5 მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად—ნათესი მიწების ნამატი სივრცე დაბეგრილ იქნეს წყლის გამოსაღებით.

II. წყლის გამოსაღების დებულების მე-7 მუხლის განსავითარებლად წყლის გამოსაღების განაკვეთებს სოფლად ცალკეულ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულთათვის ან ცალკეულ წყლის სისტემათათვის, აგრეთვე ცალკეული სახის საწარმოთათვის აწესებენ აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სსრ-ბის სახალხო კომისართა საბჭოები.

III. წყლის გამოსაღების დებულების მე-7 მუხლის შენიშვნის თანახმად, ისეთ საშუალო მეურნეობებს, რომელთაც ჰყავთ შვიდი და რვა მჭამელი, დაენიშნებათ შეწერილი წყლის გამოსაღების მონაკლები ხუთი პროცენტის რაოდენობით; იმ მეურნეობებს, რომელთაც ჰყავთ ცხრა და ათი მჭამელი,—ათი პროცენტის რაოდენობით, ხოლო იმ მეურნეობებს, რომელთაც ჰყავთ თერთმეტი და მეტი მჭამელი,—ხუთმეტი პროცენტის რაოდენობით.

შენიშვნა. იმ მეურნეობებს, რომელნიც დაბეგრილ არიან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ, ამა დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული მონაკლები არ დაენიშნებათ.

IV. წყლის გამოსაღების დებულების მე-10 მუხლის განსავითარებლად:

ა) წყლის გამოსაღებით არ დაიბეგრება ისეთი მეურნეობა, რომელიც წყალს იყენებს მარტოოდენ ოჯახის საჭიროებისათვის;

ბ) წყლის გამოსაღები შემოიღება ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში.

წყლის გამოსაღები გამოიანგარიშება და გადახდევინებულ იქნება შემდეგ საფუძველზე:

1) მიწის ნაკვეთებისათვის წყლის გამოსაღები დაწესდება ამ მიწის ნაკვეთების სხვადასხვა კატეგორიების თვითეულ კვადრატულ მეტრზე;

2) ადგილობრივი ტიპის წყალმომქმედ საწარმოთათვის (წისქვილი და სხვ.) წყლის გამოსაღების განაკვეთები დაწესდება თვითეულ თვალზე, ვალცენზე ან წყვილ მორგვზე, რისთვისაც განაკვეთები დიფერენცირებულ უნდა იქნეს იმის მიხედვით, იმავე არხში ვარდება წყალი, თუ სხვა არხში;

3) საინჟენერო ტიპის წყალმომქმედ საწარმოთათვის (მექანიკური ძრავით), რომელნიც წყალს იყენებენ როგორც ამამოძრავებელ ძალას, წყლის გამოსაღების განაკვეთები დაწესდება თვითეულ ძალაზე, რისთვისაც განაკვეთები დიფერენცირებულ უნდა იქნეს იმის მიხედვით, იმავე არხში ვარდება წყალი, თუ სხვა არხში;

4) წყლის გამომყენებელ საწარმოთათვის (აბრეშუმის სახვევი, არყის სახდელი ქარხანა) და რკინის გზისათვის წყლის გამოსაღების განაკვეთები დაწესდება გამოყენებული წყლის რაოდენობის მიხედვით;

5) დებულების მე-14 მუხლის თანახმად—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება მიეცეს—გაანთავისუფლონ ხოლმე მთლად ან ნაწილობრივ წყლის გამოსაღებისაგან მეურნეობათა ცალკეული კატეგორიები და საწარმონი, ხოლო იმ პირობით კი, რომ რესპუბლიკებისათვის დაწესებული წყლის გამოსაღების საერთო თანხა მთლად იქნეს დაფარული;

6) დებულების მე-16 მუხლის თანახმად დაწესებულ იქნეს შემდეგი უკიდურესი ვადები წყლის გამოსაღების გადახდისათვის:

1-ლი ვადა—ოქტომბრის ხუთმეტს—შეწერილი გამოსაღების ოცი პროცენტი; მე-2 ვადა—დეკემბრის პირველს—შეწერილი გამოსაღების ორმოცდაათი პროცენტი; მე-3 ვადა—შეწერილი გამოსაღების ოცდაათი პროცენტი.

7) დებულების მე-19 მუხლის თანახმად შუამდგომლობათა აღძვრისა და საჩივრების შეტანისათვის დაწესდეს შემდეგი ვადები: ა) საჩივარი შემოსავლის წყაროების არასისწორით აღნუსხვისა, აგრეთვე შუამდგომლობა შეღავათების მინიჭების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა გადამხდელისათვის საშენაწერო ფურცლის ჩაბარების დღიდან; ბ) შუამდგომლობა სტიქიურ უბედურების გამო შეღავათების მინიჭების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში სტიქიური უბედურების დროიდან.

საჩივრებსა და შუამდგომლობებს განიხილავენ საგავარაკო, სათემო და სადაირო საგადასახადო კომისიები ერთი კვირის ვადაზე შეტანის დღიდან.

8) დებულების 21 მუხლის თანახმად შემოსული წყლის გამოსაღების ყველა თანხა ჩაირიცხება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების სპეციალურ სახსარში და დაიხარჯება მარტოოდენ წყლის გამოსაღების დებულების მე-2 მუხლში აღნიშნულ საჭიროებათათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. აგვისტოს 15. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 189 №-ში 1929 წ. აგვისტოს 20-ს.

დადგენილება № 77 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. აგვისტოს 17.

136. კავკასიის წითელდროშიანი არმიის მანევრებში მონაწილე მოქალაქეების მუშაობისაგან განთავისუფლების შესახებ.

კავკასიის წითელდროშიანი არმიის წინამდებარე მანევრებთან დაკავშირებით და იმის გამო, რომ საჭიროა ამ მანევრებში მონაწილეობა მიიღონ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ორგანიზებულმა მუშებმა და მოსამსახურეებმა, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნენ მუშაობისაგან ყველა საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში ის მუშები და მოსამსახურეები, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ მანევრებში.

2. მანევრებში მონაწილე მუშებსა და მოსამსახურეებს შეენარჩუნოთ როგორც მათი მუშაობის ადგილი, ისე საშუალო სამუშაო ხელფასი იმ ხნის განმავლობაში, რასაც ისინი მანევრებში დაჰყოფენ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის
საორგან.-უფლ. განყოფ. გამგე **მელნიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 188 №-ში 1929 წ. აგვისტოს 18-ს.

დადგენილება № 78 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1929 წ. აგვისტოს 17.

137. სრულიად საკავშირო სამსროლელო შეჯიბრებაში მონაწილეთა მუშაობისაგან განთავისუფლების შესახებ.

რადგანაც ქ. მოსკოვში უნდა მოხდეს სრულიად საკავშირო სამსროლელო შეჯიბრება—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნენ ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში ის მუშები და მოსამსახურეები, რომელნიც ა/კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიერ გამოყოფილ არიან სრულიად საკავშირო სამსროლელო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

2. სრულიად საკავშირო სამსროლელო შეჯიბრებაში მონაწილეთ შეენარჩუნოთ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც საჭიროა აღნიშნული შეჯიბრების ჩასატარებლად, მათი მუდმივი მუშაობის ადგილი და საშუალო სამუშაო ხელფასი.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის
საორგან.-უფლებ. განყოფ. გამგე **მელნიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 189 №-ში 1929 წ. აგვისტოს 20-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

138. შრომის კანონთა კოდექსის დამატებისა და შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 161 მუხლს დაემატოს „დ", „ე", „ვ" და „ზ" პუნქტები და შეიცვალოს იმავე მუხლის „გ" პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„გ) დამქირავებელი მოვალეა შეატყობინოს მუშათა და მოსამსახურეთა კომიტეტს (საფაბრიკო-საქარხნოს, ადგილობრივს და სხვა კომიტეტს), რომ განზრახული აქვს დაიქირაოს მუშები და მოსამსახურეები ‚და აგრეთვე, რომ მან მიიღო ესა თუ ის მუშა და მოსამსახურე".

„დ) მუშათა და მოსამსახურეთა კომიტეტს უფლება აქვს, არა უგვიანეს სამი დღისა მუშისა თუ მოსამსახურისაგან შეტყობინების მიღების მომენტიდან, განაცხადოს თავისი აზრი ამა თუ იმ მომუშავის სამუშაოზე მიღების წინააღმდეგ, უკეთუ დამქირავებელმა მომუშავე დაიქირავა შრომის მომქმედი კანონმდებლობის ან კოლექტიური ხელშეკრულობის დარღვევით".

„ე) უკეთუ დამქირავებელი თანახმა არ არის მუშათა და მოსამსახურეთა კომიტეტის საწინააღმდეგო აზრისა, კომიტეტს უფლება აქვს, არა უგვიანეს სამი დღის ვადისა თავისი საწინააღმდეგო აზრის განცხადების დღიდან, გადასცეს კონფლიქტი განსახილველად შრომის ადგილობრივ განყოფილებას, ხოლო იმ ადგილას, სადაც შრომის განყოფილება არ არსებობს,—შრომის ადგილობრივ ინსპექციას.

შრომის განყოფილებამ თუ შრომის ინსპექციამ უნდა განიხილოს კონფლიქტი სამი დღის ვადაზე სათანადო განცხადების მიღების დღიდან. აღნიშნული ორგანოების გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გადასინჯვა შეუძლიან შრომის ზემდგომ ორგანოს მხოლოდ ზედამხედველობის წესით".

„ვ) შტატების მასსობრივი თუ ჯგუფობრივი შემცირების შემთხვევაში გასაუქმებელ თანამდებობათა ნუსხა დამქირავებელმა უნდა გაუგზავნოს, არა უგვიანეს ორი კვირისა დათხოვნამდე, მუშათა და მოსამსახურეთა კომიტეტს".

„ზ) ისეთ საწარმოსა და დაწესებულებაში, სადაც საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტი დაარსებული არ არის, მათ უფლებებს („დ“ და „ვ“ პუნქტი) განახორციელებენ—შესაბამისად—სათანადო ჯგუფობრივი კომიტეტი ან პროფესიონალური კავშირის დელეგატები“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. აგვისტოს 19. ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

139. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დებულებისათვის მე-13[1] მუხლის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. იანვრის 14-ს დამტკიცებულ დებულებას მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შესახებ დაემატოს მე-13[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 13[1]. უფლება მიეცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს გამოიტანონ ხოლმე ყველა სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის, აგრეთვე კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის სავალდებულო დადგენილებანი შემდეგი საკითხების გამო:

ა) სამუდამოდ ან დროებით სამსახურის აკრძალვა საბჭოთა და კოოპერატიული აპარატის ყველა საფეხურზე და აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში იმ პირებისათვის, რომელთა მუშაობის შეფასების დროს გამოირკვევა, რომ ეს მუშაობა მავნებელია მუშათა კლასის ინტერესებისათვის, რის გამოც მათი სამსახურში დატოვება ყოვლად შეუძლებელია;

ბ) სამუდამოდ ან დროებით თანამდებობის დაჭერის აკრძალვა განსაზღვრულ ადგილას ან განსაზღვრულ უწყებასა, დაწესებულებასა, საწარმოსა თუ ორგანიზაციაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სამუდამოდ ან დროებით ამა თუ იმ კატეგორიის თანამდებობათა დაჭერის აკრძალვა საბჭოთა თუ კოოპერატიულ აპარატში და აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. აგვისტოს 19. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

140. ა/კსფსრ ორგანოების გამგებლობაში მყოფი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო დარგის მომუშავეთათვის, სამსახურში გატარებული წლების მიხედვით, დასანიშნი პენსიების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ ორგანოების გამგებლობაში მყოფი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო დარგის მომუშავეთ პენსიის უფლება სამსახურში გატარებული წლებისათვის აქვთ თანაბრად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი იმ რესპუბლიკის სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სათანადო კატეგორიების მომუშავეებისა, რომლის ტერიტორიაზედაც იმყოფება ა/კსფსრ სასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებები.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული პენსიები გაიცემა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განკარგულებით ა/კსფსრ დაინტერესებული ორგანოების წარდგენით.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული პენსიების გასაცემად საჭირო ხარჯები გატარებულ უნდა იქნეს ამერკავკასიის ბიუჯეტში ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

4. ინსტრუქციას ამა დადგენილების შესრულებისათვის გამოსცემს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. აგვისტოს 19. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

141. მუშათა ბინების მშენებლობის საჭიროებისათვის დაწესებული მიზნობრივი საბინაო გადასახადის უკიდურესი განაკვეთების განაწერის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მუშათა ბინების მშენებლობის საჭიროებისათვის დაწესებული მიზნობრივი საბინაო გადასახადის უკიდურესი თვიური განაკვეთების განაწერი (ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 40^1—40^4 მუხლების დანართი—ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-10 №-რი, მუხ. 127) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ბ ა ნ ა წ ე რ ი

მუშათა ბინების მშენებლობის საჭიროებისათვის დაწესებული მიზნობრივი საბინაო გადასახადის უკიდურესი თვიური განაკვეთებისა.

| კატეგორია | წლიური შემოსავლის თანხა | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

142. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებაში (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-რი, მუხ. 697) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-15 მუხლს დაემატოს „კ" პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„კ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილების საკადრო შედგენილობაში სამხედრო სამსახურისათვის გაწვეულ მოქალაქეთა ოჯახებისათვის დახმარების მისაცემად საჭირო ხარჯები".

2. ადგილობრივი ფინანსების დებულების 23 მუხლის „ბ" პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხები, რომლის რაოდენობა და განაწილების წესი განისაზღვრება დებულებით ამ გადასახადის შესახებ".

3. ადგილობრივი ფინანსების დებულების 23 მუხლის „ნ" პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) ბირჟაზე და ბირჟის გარეშე დადებულ გარიგებათა სახელმწიფო გამოსაღების სამოცდახუთმეტი პროცენტის რაოდენობით".

4. ადგილობრივი ფინანსების დებულების 36 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 36. საზღვაო და შინაგანი წყალსავალი გზებით გადასაზიდი ტვირთის გადასახადის განაკვეთები არ უნდა აღემატებოდეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებულ განაწერში აღნიშნულ უკიდურეს განაკვეთებს".

შენიშვნა 1. წყალსავალი გზით გადასაზიდი ისეთი ტვირთის გადასახადის განაკვეთი, რომელიც გაივლის ორმოცდაათ კილომეტრზე არა უდიდეს მანძილს, არ უნდა აღემატებოდეს ხუთმეტ პროცენტს, იმ ტვირთისა, რომელიც გაივლის ორმოცდათერთმეტი კილომეტრიდან ას კილომეტრამდე—ოცდაათ პროცენტს და იმ ტვირთისა, რომელიც გაივლის ას-ერთი კილომეტრიდან ორას კილომეტრამდე,—ორმოცდაათ პროცენტს იმ განაკვეთისას, რაც დადგენილია ორას კილომეტრზე მეტი მანძილით გაგზავნილი ტვირთისათვის.

შენიშვნა 2. უკეთუ წყალსავალი გზით გაგზავნილი ტვირთის ხვედრი გადასახადის თანხა 20 კაპიკამდე არ აღწევს, გადასახადი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს 20 კაპიკის რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 3. უკეთუ ხე-ტყის მასალა და შეშა წყალტივტივით იგზავნება, იგი სატვირთო გადასახადით არ დაიბეგრება.

შენიშვნა 4. უკეთუ კერძო ტვირთი კერძო მფლობელთა ნავჭურჭლით გადაიზიდება, განაწერში აღნიშნული ადგილობრივი გადასახადის უკიდურესი განაკვეთები შეიძლება გადიდებულ იქნეს ადგილობრივი საბჭოს მიერ, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე ერთი-ორად. გადასახადის განაკვეთების ასეთი გადიდება შეიძლება აგრეთვე სახელმწიფო ნაოსნობის მიერ გადასაზიდი კერძო ტვირთისათვისაც, უკეთუ ამ ნაოსნობას კერძო ტვირთის გადაზიდვისათვის შემოღებული აქვს გადიდებული ტარიფები".

5. გაუქმებულ იქნეს ადგილობრივი ფინანსების დებულების 27 მუხლის „გ" პუნქტი (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-19 №-რი, მუხ. 218) და იმავე დებულების 39 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 22 №-რი, მუხ. 264).

6. ადგილობრივი ფინანსების დებულების 103 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 103. ყველა ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები, აგრეთვე ყოველგვარი სხვა შემოსავალი, რაც ადგილობრივ სახსარში უნდა იქნეს ჩარიცხული, მათ რიცხვში განყოფილებათა შემოსავალი და ამა დებულების 88 მუხლის „დ" პუნ. აღნიშნულ საწარმოთა წმინდა მოგება, გადამხდელის მიერ შეიტანება 108^1 და 108^2 მუხლებში აღნიშნულ დაწესებულებათა სალაროებში".

7. ადგილობრივი ფინანსების დებულების 105 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 105. ბიუჯეტით გახსნილი კრედიტი იხარჯება 108^9 მუხლის წესისამებრ თავისი დანიშნულების საგნის მიხედვით. აღმასრულებელი კომიტეტის არც-ერთ განყოფილებას უფლება არა აქვს თავისი ნებით შესცვალოს კრედიტის დანიშნულება ან გადაიტანოს ამა თუ იმ კრედიტზე ისეთი ხარჯი, რაც დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილი არ არის".

8. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულებას დაემატოს 108^1—108^{10} მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„108^1. ადგილობრივი ბიუჯეტების კასსობრივი აღსრულება განხორციელდება შემდეგი წესით:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტების (სარაიონო, სასოფლო და მათი შესაბამისი ბიუჯეტების გარდა) კასსობრივი აღსრულება, საერთო წესისამებრ, დაეკისრება სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს;

ბ) სარაიონო, სასოფლო და მათი შესაბამისი ბიუჯეტების კასსობრივ აღსრულებას განახორციელებენ სათანადო ადგილობრივი საბჭოები;

გ) დიდ დასახლებულ პუნქტში, სადაც არსებობს კომუნალური (საქალაქო) ბანკი, ადგილობრივი ბიუჯეტების (მათ შორის სარაიონო, სასოფლო და მათი შესაბამისი ბიუჯეტების) კასსობრივი აღსრულება, ადგილობრივი საბჭოს დადგენილებით, შეიძლება გადაეცეს აღნიშნულ ბანკს.

ადგილობრივი საბჭოს სათანადო დადგენილება შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან, რისთვისაც გამოითხოვება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარია-

ტის დასკვნა. ასეთი გადაცემის განხორციელებისას, ადგილობრივი ბიუჯეტების თანხები, რაც სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს გადაეცემა ამ დაწესებულებების მიერ მიღებული საერთო-სახელმწიფოებრივი შემოსავლის ზედნართების სახით, აგრეთვე ადგილობრივ სახსარში გადასარიცხი თანხები ჩაირიცხება ადგილობრივი ბიუჯეტების ანგარიშზე სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში და გადაიტანება კომუნალური (საქალაქო) ბანკების ანგარიშებზე სათანადო საფინანსო ორგანოების განკარგულებით;

დ) საოლქო და მისი შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტისა და სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის სათანადო დაწესებულების განსაკუთრებული შეთანხმებით— სარაიონო, სასოფლო და მათი შესაბამისი ბიუჯეტების აღსრულება იმ პუნქტებში, სადაც არსებობს სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის დაწესებულება, შეიძლება დაეკისროს ამ დაწესებულებას.

108². ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის მიღება სხვა დაწესებულებების მიერ, გარდა 108¹ მუხლში აღნიშნული დაწესებულებებისა, მოხდება შემდეგ შემთხვევაში:

ა) შეიძლება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალი მიიღოს ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებამ—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) განსაკუთრებული შეთანხმების საფუძველზე, აგრეთვე სახელმწიფო შრომითი შემნახველმა სალარომ იმ განსაკუთრებული წესების თანახმად, რასაც გამოსცემს სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატი—სახელმწიფო შრომითი სალაროების მთავარ სამმართველოს ხაზით;

ბ) შემოსავლის მიღებას აწარმოებენ სპეციალურ ამკრეფთა სალაროები;

გ) სარაიონო და მათ შესაბამისს სალაროებს, ამ სალაროების მიერ შესასრულებელი ბიუჯეტების სახსარის მიღების გარდა, ზემდგომმა ადგილობრივმა საბჭომ შეიძლება დააკისროს სხვა ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის ბიუჯეტით შემოსასვლელი თანხების მიღება;

დ) შეიძლება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალი (ყველა ან ზოგიერთი) მიიღოს წელიწადის რომელიმე ნაწილის ან მთელი წლის განმავლობაში აგრეთვე ისეთმა საკრედიტო დაწესებულებამ, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის აღსრულებას არ ეწევა, იმ პირობით-კი, რომ სრულიად უზრუნველყოფილ იქნეს. შეგროვილი შემოსავლის ამ საკრედიტო დაწესებულების მიერ თავის დროზე სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ან კომუნალური (საქალაქო) ბანკის უახლოესი დაწესებულებისათვის გადაცემა, იმისდამიხედვით, თუ ამ უკანასკნელ დაწესებულებათა შორის რომელსა აქვს დაკისრებული ადგილობრივი ბიუჯეტის კასსობრივი აღსრულება; ზემოაღნიშნულ საკრედიტო დაწესებულებათა სიებს შეადგენენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. ეს უკანასკნელი საკრედიტო დაწესებულებათა დადგენილ სიას გაუგზავნის სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

შენიშვნა. ადგილობრივი შემოსავლის შესაკრეფად, სათანადო ადგილობრივი საბჭოს დადგენილებით, შეიძლება დაინიშნოს განსაკუთრებული ამკრეფი.

108³. ყველა დაწესებულება, მათ რიცხვში სპეციალურ ამკრეფთა სალაროებიც, ყველა საწარმო და პირი მოვალეა, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ, ჩააბარონ ხოლმე მთლად მათ მიერ მიღებული თანხები აგგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლისა სათანადო ადგილობრივი ბიუჯეტის კასსობრივი აღსრულების განმახორციელებელ დაწესებულებებს.

აღნიშნულ დაწესებულებათა (მათ რიცხვში სპეციალურ ამკრეფთა სალაროებისაგან), საწარმოთა და პირთაგან უშუალოდ რაიმე ხარჯის გაწევა მათ მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის სახით მიღებული თანხებიდან არ შეიძლება.

108⁴. ის საკრედიტო დაწესებულება, რომელსაც დაკისრებული აქვს ადგილობრივი ბიუჯეტის კასსობრივი აღსრულება, ჩარიცხავს მის მიერ აღნიშნული ბიუჯეტით მიღებულ სახსარს სათანადო ადგილობრივი ბიუჯეტის პროცენტიან მიმდინარე ანგარიშზე, რაც გახსნილ უნდა იქნეს სათანადო საფინანსო ორგანოს განკარგულებაში

108⁵. ის სარაიონო და მისი შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტი და სასოფლო საბჭო, რომელიც თავისი ბიუჯეტის კასსობრივ აღსრულებას თვით ანხორციელებს, მოვალეა, უკეთუ მის სამყოფელ დასახლებულ პუნქტში არსებობს სსრკ-ის სახელმწიფო ბანკისა თუ კომუნალური (საქალაქო) ბანკის დაწესებულება, ჩააბაროს ერთ-ერთ ამ დაწესებულებათაგანს შესანახად მასთან შესული ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარი, როდესაც დაგროვდება ისეთი რაოდენობის თანხა, რაც განსაზღვრულია საოლქო (და მისი შესაბამისი) საფინანსო ორგანოს მიერ, ყოველ შემთხვევაში—არა ნაკლებ, ვიდრე კვირაში ორჯერ.

უკეთუ ზემოაღნიშნული აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს სამყოფელ ადგილას სსრკ-ის სახელმწიფო ბანკისა და კომუნალური ბანკის დაწესებულება არ არსებობს, ადგილობრივი ბიუჯეტის სახსარი ინახება ან იმ დასახლებულ პუნქტში მომქმედ სახელმწიფო შემნახველ სალაროში, ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს სალაროში.

ამ სახსართა შენახვის უახლოეს წესს დაადგენს საოლქო (და მისი შესაბამისი) საფინანსო ორგანო.

108⁶. თავისუფალი სახსარი ადგილობრივი ბიუჯეტისა, რომლის კასსობრივი აღსრულება დაკისრებული აქვს სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ან კომუნალური (საქალაქო) ბანკის დაწესებულებას, ინახება ამ ადგილობრივი ბიუჯეტის კასსობრივი აღსრულების განმახორციელებელ ბანკში და შესანახად სხვა საკრედიტო დაწესებულებას არ შეიძლება გადაეცეს.

თავისუფალი სახსარი იმ ადგილობრივი ბიუჯეტისა (სარაიონო, სასოფლო და მათი შესაბამისი), რომლის კასსობრივი აღსრულებას ანხორციელებს უშუალოდ სათანადო ადგილობრივი საბჭო, შეიძლება გადაეცეს შესანახად, სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი პირობების დაცვით,—საკრედიტო-კოოპერატიულ ორგანიზაციას, კომუნალურ (საქალაქო) ბანკს ან სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებას (ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ბანკს).

108[7]. ფულადი თანხების გაცემას ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისათვის აწარმოებს ადგილობრივი ბიუჯეტის კასსობრივი აღსრულების განმახორციელებელი საკრედიტო დაწესებულება იმ ხელთქონებულობის ფარგალში, რაც სათანადო ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშზეა, ასიგნობა-ჩეკით, ჩეკით ან სხვა, მათი სანაცვლო დოკუმენტით.

108[8]. იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ან კომუნალური (საქალაქო) ბანკის დაწესებულება არ არსებობს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტის აღსრულებას განახორციელებდეს, ხოლო მოქმედობს სხვა საკრედიტო დაწესებულება,—ამ უკანასკნელს შეიძლება დაეკისროს,—ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის გამგეობის შეთანხმებით,—ადგილობრივი ბიუჯეტის ცალკეული ხარჯების წარმოება სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ან კომუნალური (საქალაქო) ბანკის იმ დაწესებულების დავალებით, რომელიც ამ ბიუჯეტის აღსრულებას ანხორციელებს (108[1] მუხლის „ბ“ პუნქტი).

108[9]. ფულადი თანხები იმ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისათვის, რომლის კასსობრივ აღსრულებას ანხორციელებს უშუალოდ ადგილობრივი საბჭო (308[5] მუხ.) გაიცემა:

ა) უკეთუ ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალი შესანახად სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას, კომუნალურ (საქალაქო) ბანკს ან სახელმწიფო შრომითი სალაროს ჰბარდება,—სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს ჩეკით;

ბ) უკეთუ აღნიშნული შემოსავალი ინახება აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს სალაროში,—უშუალოდ ამ აღმასრულებელი კომიტეტისა და საბჭოს სალაროს მიერ.

შენიშვნა. სარაიონო, სასოფლო და მათი შესაბამისი ბიუჯეტით წვრილი და გადაუდებელი ხარჯების საწარმოებლად, იმ შემთხვევაში, რაც გათვალისწინებულია ამა მუხლის „ა“ პუნქტით, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, სასოფლო საბჭოს და მათ შესაბამისს ორგანოს შეუძლიან გამოიყენოს მის სალაროში შესული თანხები და აგრეთვე შეუძლიან მიიღოს ჩეკებით თანხები იმ დაწესებულებიდან, სადაც მისი სახსარი ინახება.

108[10]. ადგილობრივი ბიუჯეტების აღსრულების საკასსო წესებს გამოსცემს სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს შეუძლიანთ გამოსცენ აღნიშნული წესების დამატებანი, რაც ადგილობრივი პირობებით იქნება გამოწვეული.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. აგვისტოს 19. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

143. ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა და ჯარების თანამშრომელთა და თავმდგომთა შედგენილობის საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა და ჯარების თანამშრომელთა და თავმდგომთა შედგენილობის საცხოვრებელი სივრცით უზრუნველსაყოფად—საჭიროდ იქნეს ცნობილი:

1. მიემაგროს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებს ყველა სახლში ის ბინები და ცალკეული ოთახები, რომლებიც ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა და ჯარების თანამშრომელთა და თავმდგომთა შედგენილობას უჭირავთ და ამ ბინებისა და ოთახებისაგან მოეწყოს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა და ჯარების საბინაო ფონდი.

2. გავრცელებულ იქნეს მოქმედება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 17-ს დადგენილებისა „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის მიკუთვნებული საცხოვრებელი სახლებიდან ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წლის 22 №-რი, მუხ. 255) იმ სახლებზე, რაც მიმაგრებულია ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებზე.

3. უკეთუ ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოები არ გამოიყენებენ ამა დადგენილების წესით მათთვის მიჩენილ ოთახებს, სამი დღის ვადის გაამავლობაში დღიდან ამ ოთახების განთავისუფლებისა, ეს ოთახები გადადის ადგილობრივი საბჭოს საერთო-საკომუნალო ფონდში და განაწილებულ იქნება ამ საბჭოს შეხედულებისამებრ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1929 წ. აგვისტოს 19. ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 154 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

144. 1929 წლის საშემოდგომო თესვის კამპანიის გეგმის შესახებ.

ნათესი სივრცის გაფართოებისა, მოსავლიანობის გადიდებისა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობამდე და სახნავი მიწების 1930 წლის საგაზაფხულო თესვისათვის მომზადების მიზნით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა ა/კსფსრ-ში, 1929 წ. საშემოდგომო თესვის კამპანიის განმავლობაში, დაითესოს ზამთრის ნაკვეთი 41,67 ათასი ჰექტარის რაოდენობით, ე. ი. 1928 წლის საშემოდგომო ნათესს სივრცესთან შედარებით გადიდება მიღებულ იქნეს 3,66 პროცენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—21.000 ჰექტ., ან 2,56 პროც., სომხეთის სსრ-ში—5.570 ჰექტ., ან 5,72 პროც. და საქართველოს სსრ-ში—15.100 ჰექტ., ან 6,8 პროც.

განზრახულ ერთობილ აგრონომიულ ღონისძიებათა შედეგად მოსავლიანობის ნამატი განსაზღვრულ იქნეს არა ნაკლებ 5,4 პროცენტისა; საბჭოთა მეურნეობათათვის და კოლექტიურ მეურნეობათათვის—მინიმუმ 15 პროცენტით.

1929 წ. შემოდგომის ნათესები:

(ათასობითი ჰექტარი)

	ინდ. მეურ.	საბჭ. მეურ.	კოლ. მეურ.	სულ დათეს.	ნამატის %
აზერბაიჯანის სსრ . .	818,0	2,5	30,0	840,5	2,56
სომხეთის სსრ . . .	93,11	2,18	7,48	102,77	5,72
საქართველოს სსრ . .	215,4	2,0	20,0	237,4	6,80
ა/კსფსრ	1116,51	6,68	57,48	1180,67	3,66

2. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა რესპუბლიკებში განხორციელდეს ძირითადი აგრონომიული ღონისძიებანი შემდეგი რაოდენობით პროცენტულად ნათესი სივრცისა და ნათესი მარცვლეულის რაოდენობასთან შეფარდებით:

	აზერბ. სსრ	სომხ. სსრ	საქართ. სსრ	ა/კსფსრ
ადრეული ხნული	17,8	4,35	31,6	19,5
სატრაქტორო ხნული	3,0	9,3	4,3	3,8
გუთნური ხნული	50,5	70	55,5	53,0
მწკვრივად ნათესი	5,3	9,1	2,9	5,15
თესლეულის დახარისხება . . .	17,5	—	—	11,3
თესლეულის გაწმენდა	28,4	100,0	51,5	42,0
თესლეულის დაწამვლა	14,5	33,0	39,6	22,6

საბჭოთა მეურნეობებში და კოლექტიურ მეურნეობებში აღნიშნული ღონისძიებანი განხორციელებულ უნდა იქნეს 100 (ასი) პროცენტით.

3. ზამთრისპირული მოხვნა და საკომპლექსო აგრონომიული ღონისძიებანი ანეულისათვის ბამბის რაიონებში განხორციელებულ უნდა იქნეს 55,3 ათასი ჰექტ. სივრცეზე ა/კსფსრ-ში.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში თესვის კამპანიის ჩასატარებლად დანიშნულმა რწმუნებულებმა და ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტმა უნდა გააზუსტონ ამ სივრცის განაწილება რესპუბლიკებზე და იზრუნონ, რათა მომმარაგებელ და დამაკრედიტებელ ორგანოებს თავის დროზე წარედგინოს დამატებითი განცხადებანი სასოფლო-სამეურნეო იარაღისა, მინერალური სასუქისა და ცხენების შესახებ.

4. ჯიშიანი თესლით დათესილი სივრცე, როგორც მინიმუმი, განისაზღვროს აზერბაიჯანის სსრ-ში—7 ათასი ჰექტარით, სომხეთის სსრ-ში—6,8 ათასი ჰექტარით და საქართველოს სსრ-ში—1 ათასი ჰექტარით; სულ 14,8 ათასი ჰექტარით.

5. სავალდებულოდ იქნეს ცნობილი, რათა თესლთაბრუნვა შემოღებულ იყოს ყველა საბჭოთა მეურნეობაში არა ნაკლებ 50 პროცენტისა მიწათმოწყობილ კოლექტიურ მეურნეობებში და თითო მიწათმოწყობილ სოფელში თუ საზოგადოებაში თვითეულ თემზე, დაირზე და უბანზე.

6. შემოღებულ იქნეს მინერალური სასუქი სომხეთის სსრ-ში—500 ჰექტარზე და საქართველოს სსრ-ში—5.000 ჰექტარზე (ტკილით გაპატივება); მთლად ა/კ სფსრ-ში—5.500 ჰექტარზე.

7. ჩატარებულ იქნეს რესპუბლიკებში კონტრაქტაცია მარცვლეულ ნათესებზე შემდეგი რაოდენობით (ათას. ჰექტარ.):

	ხორბალი			ქერი		შვრია	სულ			
	მწკრივი თესვა	ამ რიცხვში ჯიშიანი თესლი	გფანტული თესვა	მწკრივი თესვა	გფანტ. თესვა	გფანტ. თესვა	მწკრივი თესვა	ამ რიცხვში ჯიშიანი თესლი	გფანტ. თესვა	ჯამი
აზერბაიჯ. სსრ	15	—	10	—	10	2	15	—	22	37
სომხეთის სსრ.	3	1,9	2	—	—	—	3	1,9	2	5
საქართვ. სსრ.	4,5	—	4,5	0,5	0,5	—	5	—	5	10
სულ..	22.5	1,9	16,5	0,5	10,5	2	23	1,9	29	52

8. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საერთო მოთხოვნილება შემოტანილი სათესლე მასალისა მიწების ჯიშიანი თესლით დასათესად და აგილობრივ სათესლე მასალაზე გადასაცვლელად—განისაზღვროს: აზერბაიჯანის სსრ-ში—126 ათასი ცენტნერის რაოდენობით, სომხეთის სსრ-ში—27,5 ათასი ცენტნერის რაოდენობით, აქედან 10,5 ათასი ცენტნერი ჯიშიანი ხორბალი, და საქართველოს სსრ-ში—72,5 ათასი ცენტნერის რაოდენობით, აქედან 13,1 ათასი ჯიშიანი ქვავი; სულ 226 ათასი ცენტნერი, აქედან—23,6 ათასი ცენტნერი ჯიშიანი მარცვლეული.

9. განისაზღვროს მინიმალური მოთხოვნილება: სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის შემოტანისა საშემოდგომო თესვის კამპანიის დასაწყისი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის—1.569.065 მან. რაოდენობით; მავნებლებთან საბრძოლველ საშუალებათა—134.625 მან. რაოდენობით; ქიმიკატებისა მინერალური სასუქისათვის—663.000 მან. რაოდენობით.

10. განისაზღვროს მუშა-საქონლის მოთხოვნილება საშემოდგომო თესვის კამპანიის დასაწყისისათვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში:

	ხარი (უღლობით)	თანხა (მანეთობით)	ცხენი (სულობით)	თანხა (მანეთობით)
აზერბაიჯანის სსრ	2.000	600.000	2.930	732.500
სომხეთის სსრ	1.500	450.000	470	117.500
საქართველოს სსრ	3.000	900.000	317	79.250
ს უ ლ . . .	6.500	1.950.000	3.717	929.250

11. საშემოდგომო თესვის კამპანიის დაფინანსების საერთო რაოდენობა განისაზღვროს 10.923.230 მან., განისაზღვროს დაფინანსებაში მონაწილეობა:

1) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემისა—9.134.945 მან. თანხით, აქედან—7.761.265 მან.—მიზნობრივი საწარმოო დაკრედიტება სისტემის სახსარიდან და 1.373.680 მან.—მებამბეობის კოოპერაციის დაკრედიტება; 2) ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტისა—832.500 მან. თანხით საკუთარი სახსარიდან ზამთრისპირული მოხვნის დაავანსებისათვის; 3) 414.800 მან. სახელმწიფო ბანკის სახსარიდან—მარცვლეულის ნათესის კონტრაქტაციისათვის; 4) 79.360 მ. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო სახსარიდან—ჯიშიანი მეთესლეობისათვის; 5) 461.625 მან. საკავშირო ბიუჯეტის სახსარიდან—მავნებლებთან ბრძოლის გაძლიერებისათვის, მარცვლეულის გაწმენდის მოწყობისათვის და აგრონომიული განათლებისათვის განვლილი თესვის კამპანიების მაგალითისამებრ.

აღიძრას შუამდგომლობა სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე—საერთო-საკავშირო საბიუჯეტო სახსარიდან უკანასკნელი თანხის—461.625 მან.—გაღების შესახებ და ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის—1929-30 წ. პირველი კვარტალის კრედიტების ანგარიშში—5.661.265 მან. გადაცემის შესახებ საწარმოო დაკრედიტებისათვის და 1.373.680 მან.—მებამბეობის კოოპერაციის დაკრედიტებისათვის.

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) განსაზღვრონ 1929 წ. საშემოდგომო თესვის კამპანიის განმავლობაში სამუშაოთა რაოდენობითი მოცულობა მინდვრების სარეველისაგან, ჯაგნარისაგან და ქვებისაგან გაწმენდისა და ამოძირკვისა, ველების და მშრალღელიანი საძოვრების გაწმენდისა—საკვები ბაზისის გასადიდებლად;

ბ) განაგრძონ მუშაობა აგრონომიული მინიმუმის განხორციელებისათვის და შოაწყონ კონტროლი—საადგილმამულო საზოგადოებათა მიერ სათანადო ღონისძიებების ზედმიწევნით შესრულებისათვის, განსაკუთრებით საშემოდგომო ნათესებში საქონლის ძოვების წინააღმდეგ;

გ) შეიმუშაონ და განახორციელონ წინამდებარე საშემოდგომო თესვის კამპანიის დასაწყისისათვის საორგანიზაციო ღონისძიებანი, რათა გლეხთა ფართო

1076

მასსები ჩაბმულ იქნენ სათესი სივრცისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში—აგრორწმუნებულთა ინსტიტუტის ორგანიზაციით, თემებსა, დაირებსა, უბნებსა და სოფლებში რეგულიარული საწარმოო თათბირებისა და სოციალისტური შეჯიბრების მოწყობით, აგრეთვე პრემიების მიცემით და კრედიტებისა და საწარმოო საშუალებათა უპირატესი მიწოდებით იმ სასოფლო და საადგილმამულო საზოგადოებათათვის, რომელთაც თავიანთი საგეგმო ამოცანები გადამეტებით შეასრულეს;

დ) მიიღონ ყოველი ღონისძიება მარცვლის საწმენდი ქარავნების სასწრაფოდ მოწყობისა და მარცვლის საწმენდი მანქანების მაქსიმალურად გამოყენებისათვის; თანაც უზრუნველჰყონ სოფლის მოსახლეობის ღარიბი და საშუალო ფენების მარცვლეულის უფასოდ გაწმენდა;

ე) შემოიღონ არა უგვიანეს 1930 წ. იანვრის 1-სა რაიონობით ძირითადი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის ერთიანი აღნუსხვა ამ მანქანებისა და იარაღის ნაწილების რიგიანობისა და არარიგიანობის აღნიშვნით და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მანქანებისა და იარაღის ხელახალი რაციონალური განაწილებისა და სავსებით გამოყენებისათვის;

3) მოაწყონ, დაწყებული 1929 წ. გაზაფხულის თესვის კამპანიიდან, თესვის თვითეული კამპანიის დამთავრებისას, ამა დადგენილების მე-2 მუხ. ჩამოთვლილ აგრონომიულ ღონისძიებათა რაოდენობითი შედეგების სწორე აღნუსხვა, რაც საფუძვლად დაუდვან მოსავლიანობის გადიდებისადვის საჭირო ღონისძიებათა დაგეგმვას შემდგომი თესვის კამპანიებში.

13. დაევალოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—იზრუნონ, რათა სარემონტო სახელოსნოებს თავის დროზე მიეწოდოს საჭირო სარემონტო მასალა და სათადარიგო ნაწილები. ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა კავშირმა უზრუნველველ უნდა ჰყოს ტრაქტორებისათვის საწვავი მასალისა და საცხები ზეთეულის დაუცადებელი მიწოდება.

14. ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა უნდა დაამთავროს არა უგვიანეს ა/წ. ოქტომბრის 1-სა ამა დადგენილების მე-12 მუხლის „დ“ პუნქტის აბზაცის შესრულების შემოწმება და სათანადო მოხსენება წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1929 წ. აგვისტოს 29. ტფილისი-სასახლე.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 1322 დაიბეჭდა 850.